


# ლიცეროს ცურული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოამბის“ ღამათემა

№2, 29 თებერვალი, ორშაბათი, 2016 წელი

## სულის სიჭრბეში

...შენი შინაგანი ცხოვრების პრინციპად მიიღე შენივე სულის სიმწირის, შენივე უნიათობის წრფელი აღიარება და ისწრაფე აბსოლუტისკენ, თუ გსურს წინსვლა შედარებითში.

აღუთქვი, რომ მიზანი შენი იქნება რაც შეიძლება მაღალი, იმაზე მაღალი, რასაც შენი მხერაც ვერ შესწვდება, იქამდე მაღალი, სადაც ჩვენი ცხოვრების პარალელები გადაიკვეთება, დაუმიზნე მიუწვდომელს!

გადი ველად და მარტომდარტო ესაუბრე სამყაროს, თუ გსურს, ესაუბრე მთელს ბუნებას ერთიანად. ვითომ შენი ხმა დაიკარგება? განა არა სჯობს, უკიდვანო ცაში დაინთქას შენი სიტყვები, ვიდრე მეზობელი ეზოს ოთხკედელშია ზარივით დარეკოს და მარტო უსაქმური ჭორიკნების ლაქლაქი დაფაროს. განა არ გირჩევნია, ოკეანის წარმავალი ტალღა იყო, ვიდრე სადღაც ხეგ-ხუვში ჩაკარგული გუბურა?!

**შენი გზა შენივე გასასვლელი სივრცეა, ნუ გაჩერდები შენს ორბიტაზე ვითარცა პლანეტა, ტრაექტორიის მონის დაკად. გზის წინასწარი დასახვის სურვილი ხომ არ სებითად იმას ნიშნავს, რომ მონურადვე მივიდეთ სხვათა მითითებანი, რადგან თუ ხარ გარკვეული მიზნების მქონე ადამიანი და მტკიცე გეგმებიც გაგაჩნია, ეს ნიშნავს იყო ისეთი, როგორცაც სხვები წარმოგიდგენენ, ჩვენი რეალობა კი დაუმორჩილო მის ანარეკლს სხვათა გონებაში. მაშ, ნუ მიჰყვები სხვათა მიერ დასახულ გზებს, შენ შენი გაიგვალე, პირდაპირ მინდობში, შენივე საკუთარი ნაბიჯებით და, თუ საჭირო გახდა, ნათესებიც კი გადათელე.**

**იყავი მუდამ ალალი, იცხოვრე თანხმობით საკუთარ გულთან და სხვას ნუ რაფერს ათხოვებ ყურს, რადგან თუკი გულწრფელი ხარ და შენი გულიც თანაბრად ბგერს, მაშასადამე, წინააღმდეგობა მათს გონებაში ყოფილა და არა შენში..**

რათ, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ხარო? დაე, ასეთივე მაღალი წარმოდგენისა იყვნენ საკუთარ თავზე ისინიც, რადგან, თუ ჩვენ, ყველა ავმადლებით, ავადლდება ეს სამყაროც.

თავს გვესხმიან იმისთვის, რასაც თავად ფიქრობენ, მაგრამ შენ მათ შენი საქმით აჯობებ. აჯობე მათ სიყვარულის სახელით. შეამზადე შენი თავი ყველაფრისთვის და მოკავშირედ დრო აირჩიე. იკაროსივით სიკვდილი გიჯობს იმისთანა სიცოცხლეს, ერთხელაც რომ არ სცადო აფრენა, თუნდაც ცვილის ფრთებით. მაშ აფრინდი, აფრინდი, რომ ფრთები გამოგესხას. თუ ფრენის სურვილი გაქვს, ფრთებიც გამოგესხმება, ოღონდ იცოდე, **რცა მაღლა ახვალ, სართულსა მასა ზედა ტაძრისასა, ნუ გადაიგდებ თავსა შენსა ხალხის გასაკვირვებლად, იმის იმედით, რომ ანგელთა ხელთა ზედა აღგიდონ, „არა გამოსცადო უფალი ღმერთი შენი!“** აფრინდი უშიშრად და უდრეკად.

ნუ გაერევი მათში, ვინც ბრძოლის ველზე მოთმინებადაკარგული ერთმანეთს ებრძვის და ჭურვის მსგავს რაღაცას დამრგვალებულ მიკერძოებებს ესვრის, მათი ცალმხრივი დოგმატიზმის წინაშე მტკიცედ დადექი შენს სიტყვაზე, თუნდაც გითხრან, ეს ყველაფერი ხომ უარყოფის გზააო, მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს მაინც უფრო

ნაყოფიერი უარყოფა იქნება, რაც, თუ ანგრევს, კიდევ ქმნის და თუ ქმნის, კიდევ ანგრევს. დაუტოვე მათ ის, რაც თავიანთი იდეები ჰგონიათ, თუმცა კი, სინამდვილეში თავადვე ეკუთვნიან ამ იდეებს, თავიანთსას რომ ეძახიან!

თავადვე ხარ ცოცხალი იდეა. ნუ ანაცვალე თავს მკვდარ იდეებს – იმას, გაზეთებში რომ ამოიკითხავენ ხოლმე. ყველა იდეა მკვდარია, თუ ფორმულების სარკოფაგებშია ჩამარხული, შენს იდეებს კი მოუფრთხილდი, ვითარცა ძვლებს, შიგნით, შენი სულიერი ხორციით დაფარულთა და შემოსილთ, ვითარცა შენს ფიქრთა კუნთების მსახურთ და ნუ დააგდებ ღიად და შიშვლად, დაგმანე, რომ არ აერიოთ, როგორც იციან, დოგმატიკოსთა კიბორჩხალას მსგავსმა სულელებმა, სინამდვილისგან თავის დასაცავად იმ თავიანთ ჯავშნებში რომ შეიკეტებიან და ვერც იმ სინამდვილის დოგმებში ეტევიან.

**საკუთარ თავს ნურც სხვაზე მეტად მიიჩნევ და ნურც ნაკლებად, ნურც, თუნდაც სხვის ტილოდ, რადგან ჩვენ ადამიანები ვართ და არა ციფრები, თითოეული ჩვენთაგანი ერთადერთია და შეუცვლელი. იყავ ასეთი შენივე შეგნებითვე და ეს იყოს შენი მიზანი.**

**გაეცი შენი სულის ოქრო და იგი ხელიდან ხელში გადავა, გინდაც სიქაც კი წაეშალოს.**

ეცადე, საზოგადოებისგან მიიღო ყველაფერი, ოღონდ კი მეტისმეტად ნუ მიენდობი და ნუ ანაცვალე თავს.

შენ თავადვე, შენსავე არსში ხარ კიდევ საზოგადოება. ისევე, როგორც ყოველი სხვა არის საზოგადოება, საიდანაც ამოიზრდება ის, რასაც საზოგადოებას ვეძახით და საიდანაც წარმოსდგება პიროვნებაც, რადგან ვერავინ მოგცემს იმას, რაც თავად არ გააჩნია.

ნუ ეცდები გავლენა მოახდინო ნურც, ეგრეთ წოდებულ, კულტურის წინსვლაზე, ნურც სოციალურ გარემოზე, ნურც შენს ხალხზე, ნურც შენს ეპოქაზე, ნურც, მით უფრო, იდეების პროგრესზე, რაც თავისთავად მიედინება, იზრუნე მხოლოდ სულთა ზრდაზე, თითოეულის სულისა, თუნდაც ერთადერთი სულისა და ესეც კმარა. **ერთია, იცხოვრო ისტორიაში, მეორე – იცხოვრო მარადისობაში.**

წარმოიდგინე, რომ ღმერთში ხართ შენ და სამყარო და თუ შენ ხარ სამყაროს ნაწილი, რადგან იგი გიფარავს, მაშინ, ისიც შენი ნაწილი ყოფილა, რადგან მას შენში შეიცნობ.

ჩაღრმავდი, რათა გამოასხივო, ადავსე შენი თავი, რათა მერე ნაპირზე გადმოიღვარო, მაგრამ წყაროს კი მოუფრთხილდი. ჩაიძირე საკუთარ თავში, რათა უფრო უკეთ უძღვნა შენი თავი სხვებს მთლიანად და განუყოფლად.

„აჰა, გწირავთ ყველაფერს, რაც გამაჩნია!“ – იტყვის გულუხვი. „აჰა, გწირავთ ყველაფერს, რაც ვარ!“ – იტყვის გმირი. „აჰა, გწირავთ ჩემს საკუთარ თავს!“ – იტყვის წმინდანი. და შენც, მის კვალად შესწირე შენი თავი და როცა შესწირავ, თქვი: **„ჩემთან ერთად გწირავთ მთელს ჩემს სამყაროს!“**

ამისთვის კი, უნდა შექმნა სამყარო, ეძიო იგი შენშივე „სულის სიღრმეში!“.



მიგელ დე უნამუნო

# ოუბლივანი



\* \* \*

ჩემს სავალ ბილიკს  
 ბურუსი მოსავს,  
 არ ვარ არწერი  
 კარის ჰოტი!  
 დამიგვიანდა,  
 ეჭობა, მოსვლა,  
 ანდა ძალიან  
 ადრე მოვედი!  
 წარსული ისევ  
 წარსულში ჩარჩა,  
 შეაყვდა ფარჩა  
 სიზმრის მანტიემს,  
 ამ ჰორიზონტზე  
 საშველი არ ჩანს,  
 და ის ზავმობრე  
 არ მავატიეს!..

## ესა ბაქრაძე

\* \* \*

...და ათას კითხვას მატენის ტვინში, -  
 გავუჩხიბივარ ქხოვრებას გრძნეულს,  
 არც სინანული, არყოფის შიში!..  
 მე კანასავით გავიძრობ სხეულს...  
 სივრცე რომ ისევ დამივიწროვდეს,  
 ტანზე მოვირგებ შიშველ ბილიკებს,  
 ვიღარ მამველ რგოლს გამომინოდებს,  
 ვიღარ ბორბლად ჩაიქილიკებს, -  
 ნიშნისმოგებით ნამკენს, უთუოდ,  
 (ზეურა ლილისფრად უნდა შევლემო),  
 მერე, ღრუბელი გავაუთოვო  
 რძისფერ ქაოსში გახამებული...  
 მთასაერ გადავდგამ მთების გადაღმა,  
 სამოთხის ზღაში, (თუ არ გადახმა),  
 ხეებს დავუთვლი ფესვის ნოჭებს,  
 ვერ დამაოსებს უკვე გადაღლა,  
 არც არაფერი არ გამოაქვს...  
 იმ ცალკაზე ვარ, მინდა, რომ ახლა  
 მთელი სამყარო ავანრილო  
 და დედამინა - პატარა სახლი  
 ჩემი სულივით დავაკრილო...  
 როდესაერ სხეულს გავიხდი, მჯერა,  
 არყოფის შიშიერ გავა, უთუოდ...  
 ზეურას ძონისფრად შევლემავ მერე  
 და კანასავით გავაუთოვებ!


\* \* \*

ისევ მოიქუფრა რა, ისევ განვიძდა,  
 კვლავ უამინდობა დასჩემდა ამინდებს...  
 ნუთუ, ფენიქსივით, მიმქრალი ნამწვიდან  
 აღსდგება და სულში ნაპერკაღის ამინდებს?!  
 უკან ვიხედები, - ნაწილი ხედები,  
 დამწვარი ხიდები და სამკუთხედები,  
 ჭორი და მართალი... კერპები წარმართთა,  
 დრომ კი, დრო წამართვა და თავად წარმართა...  
 სხვაგვარად დაფერა აზარი და ფარი,  
 ბარტყების ზუღა ჩვენივე საყდარი,  
 ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ზღაპარი, -  
 რაერ რომ მამაღია, თუ რამ მინარია...  
 რა მოხდა, თუ სულში თებერვლის ქარია...  
 ზამთარი, ჩემსავით, ერთგული დედაა,  
 ზამთარი, ჩემსავით, დაღლილი ქალია...

## „თუ თავი შენი თან გახლავს...“

დაჭირითობენ გზადაგზა  
 საბელოასხილი წხენები,  
 ქარები, ფაფრაშლილი  
 ურა კვირვით გახედნეს  
 და ორად გაჭრილ ვაშლივით  
 გვანან ქედმოხრილ სახედრებს -  
 ქარები, ნაავდრაღები...  
 და მაინც, აზრგებვით  
 გზისკენ გაურბით თვალები.  
 ძუადანხილი კუდებით  
 ნვიმები საღლარ გახვეტეს  
 და, ქათამივით, რომ ხვრიბეს  
 წყალი, რას მერე ახედეს...  
 ჩადგენ და საპალნეები

დასწვივდათ, როგორც სახედრებს...  
 ყველაზე ურჩი ქარები,  
 გაჭიქებული ჭორები  
 მიუროყინებენ გზადაგზა,  
 როგორც ახალი ჭორები.  
 მიუჭიდენ შმაგი ქარები,  
 დაღლილი ჭენებ-ჭენებით,  
 ქარები ნაავდრაღები -  
 ფაფრაშლილი წხენები...  
 და გზების დანაბრები  
 ამოთქვენ სვენებ-სვენებით:  
 „თუ თავი შენი თან გახლავს,  
 სახედრად არ იხსენები...“



\* \* \*

## ნახევრად ირონიული

ჩვენში დარჩეს და,  
 ვისი რა მმართველს?  
 (ეს ირონია  
 არ გამამართლებს?)  
 „დამით“ კი არა,  
 დანით ვჭრი კარტებს  
 და ზედისწერას  
 ხელუკუღმა  
 ვაყრი კამათლებს!..  
 უარს ვუყრბადებ  
 ყველა „ისტ“-ს და  
 ყოველგვარ კარტელს,  
 კომფორტს და კარტერს!  
 დავუგებ ფარეს, -  
 ამ ქხოვრების  
 პოზას და დრამას -  
 გაჭრილ „ვალეტს“ და  
 განაჭრელ „დამას...“  
 ან რა ჯანდაზად  
 მინდა „ვალეტი“?  
 აღარერ კოზირი,  
 აღარერ ტუზი,  
 აღარერ ჭოკერი!  
 ყოველი ფერის  
 და ყველაფრის  
 ექვივალენტი  
 აღარ მიჭირავს  
 ხელში და, ამ დროს,  
 ვეთამაშები  
 ზედ-იღბალს ზანქოს!..  
 და მონტე-კარლოს,  
 ლას-ვეგასს, ზანგუკს  
 რას გააკვირვებ  
 ვისკით?.. და რისკით  
 ვიგებ და ვაგებ,  
 ვაგებ და ვიგებ  
 მე ამ ქხოვრების  
 დედა-არსს, ის კი...  
 რაერ გააჩნია,  
 ნულოზე ჩამოდის  
 და ამ ქხოვრების  
 მიზანსწინიდან  
 ჩამოდის მშვიდად  
 ერთი ჩემოდნით...  
 რა პრობლემაა?  
 (ვისი რა მმართველს?)  
 „დამით“ კი არა,  
 დანით ვჭრი კარტებს,  
 რის მონტე კარლოს,  
 ლას-ვეგასს, ზანგუკს? -  
 ვეთამაშები ქხოვრებას ზანქოს!

არ ვუხდებით ერთმანეთს  
 მე და ჭინის „შორტები“,  
 არც გიტარის სიმები,  
 არც გრძელი აკორდები.  
 არც ნემსი და მახათი,  
 ჭრა-კერვა და ნალია...  
 მომანოდეთ ქალადი,  
 მკითხეთ კულინარია!  
 კლასიკური სტილი მაქვს,  
 მზერა-გამოზომილი,  
 ზოდიაქო? - ნუ მკითხავთ! -  
 მიყვარს ყველა რდომილი (!)  
 ნვიმა მიყვარს ზაფხულის,  
 შემოდგომა, ზამთარი...  
 განაფხულოს კი, ვალმერთებ!  
 როერ მინა მზად არი,  
 ისევ გამოიღვიძოს,  
 ისევ აღმოაყენოს...  
 მტერიერ მიყვარს, ოლონდარ,  
 სახე უნდა მაჩვენოს...  
 მიყვარს თავის მოვლა და  
 თავის მოკატუნება!..  
 შოკოლადი, ნამწვიარი,  
 (თუ დიდია რდუნება!..)  
 არ ვუხდებით ერთმანეთს  
 მე და ჭინის „შორტები“...  
 არც გიტარა, არც ჩელო  
 არც შავ-თეთრი ნოტები...  
 P.S. არც ის მიყვარს, უერრად,  
 შენ რომ მომავონდები!



# პ რ ო ხ ა



გოლეგრომი ჯამბაკი

## სამყართა ზღვარზე

ადამიანები სამყაროს შეიგრძნობენ, ადგენენ არსებობის წესებს და ცხოვრობენ; აღიქვამენ ცვლილებებს სამყაროში და მათ მოვლენებს უწოდებენ. ქმნიან ზუსტ კანონებს, რომლებიც სულაც არ არის ზუსტი, არამედ მხოლოდ გარკვეული მიახლოებაა სიზუსტესთან. მათი ცხოვრება უსასრულო აპროქსიმაციაა. აპროქსიმაციაა მათი სხეულებიც, გარემოს აღმქმელი ორგანოები, ტვინის იმპულსები

და მათი გრძნობებად კოდირება. მიახლოების საყოველთაო წესით, ადამიანები ერთ დიდ სიმრავლედ იქცევიან და ვინც არ, ან ვერ იზიარებს მიახლოების წესს, ის აბსოლუტურად ბუნებრივად რჩება ამ დიდი სიმრავლის მიღმა და შემადრწუნებელ სიბრაღულს იწვევს, რადგან ის სხვანაირია, ყველას არ ჰგავს.

მას შეუძლია, საათობით იჯდეს გისოსებიან ფანჯარასთან, ფეხები რაფაზე შემოაწყოს და სივრცეში ჩაკარგოს მზერა; ეზოში მშვიდი ნაბიჯებით ტკეპნოს ერთი და იმავე ადგილი მთელი დღის განმავლობაში, ქარი იქნება, წვიმა, თუ თოვლი, – ხმის ჩახლენვამდე, ხმამაღლა აგინოს გამვლელებს მისი ფანჯრის წინ და თან, გადაპარსულ თავზე, რიგ-რიგობით მოირგოს ის სამი პარიკი, ბალიშის ქვეშ რომ საგულდაგულოდ ინახავს; შეუჩერებლად მოწიოს უფილტრო, იაფფასიანი სიგარეტი და ხშირ-ხშირად ამოწმოს დრო ფეხზე გაკეთებულ მაჯის საათზე. იგი არ აღიქვამს, არ ხედავს, არ ესმის, არ მოძრაობს, არ იღიმის, არ ტირის ისე, როგორც სხვები. ის არ არის ერთი. ის გამოხატავს ყველა მათგანს, ვინც ყველაზე დიდი სიმრავლის ადამიანებმა ნაგებობათა რაღაც კომპლექსში გამოკეტეს, რათა დაიმგვანონ...

...სადაც შორიდან მოვიდა მზე და ცივი დღის ფერები გაათბო...

როცა დღე ასე იცვლებოდა, ამ ნაგებობაში მყოფები არაფერს გრძნობდნენ. ისინი ცხოვრობდნენ ისე, როგორც მანამდე, შემოსახლდრულ ფსევდოსამყაროში. ისინი გრძნობენ, რომ ფსევდოსამყარო უსასრულოა, მაგრამ ისიც იციან, რომ არსებობს უფრო დიდი სამყაროც, საიდანაც ისინი მოვიდნენ.

ფანჯარასთან ვდგავარ და ვაკვირდები, როგორ სუნთქავს ეზო...

დღეს ორი ახალი მოიყვანეს. თუმცა, არც ეს დღეა გამორჩეული. მე ყველას მოსვლას შევესწარი, ვინც აქ ცხოვრობს, მაშინაც ფანჯარასთან ვიდექი და ეზოს სუნთქვას ვაკვირდებოდი. მათი სახეები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, თუმცა, ყველა ერთნაირად ისრუტავდა შთაბეჭდილებებს: შენობები ძველია, კედლები – ჩამოშლილი, ფანჯრების ჩარჩოები – ჩამპალი, ფერები – გაცვეთილი, ასფალტი – აყრილი, მაგრამ, როგორც ჩანს, გაზაფხულმა ეზოს თავისი ხელი მაინც დაამჩნია და გარემო მკვეთრ მწვანეში ჩაძირა. მწვანეა მთელი ეზო. სიმწვანეს მხოლოდ ასფალტის ვიწრო ბილიკები არღვევს, სადაც ქალის თხელი სილუეტი ენერგიულად დაფარფატებს, ახლებს ეგებება.

– გაამარჯობათ, გაამარჯობათ! მიხარია, რომ მოხვედით. ყველას გვიხარია. ხედავთ, როგორ ხმაურობენ?! თქვენ რომ მოხვედით იმიტომ! იცით, აქ რა კარგი ხალხი ვართ?! ძალიან მოგეწონებათ აქ ყოფნა...



დანარჩენები ფანჯრებიდან გამოეფინენ, მათი ხმები ერთმანეთში ირევა, უმრავლესობა ფილტრიან სიგარეტს თხოვს ახალმოსულებს, ზოგს კი, უბრალოდ, აინტერესებს, რატომ დევს თოვლი კავკასიონზე!.. ყველაზე შორს, მეტალისბადიან ფანჯარაში მოჩანს ტორსი, ვერ გაიგებ ქალია, თუ კაცი, მოხუცი, თუ ბავშვი. გულმოდგინედ აგინებს ყველას, ვისაც ხედავს. ხანდახან, მცირე პაუზებს იღებს. პარიკს იძრობს. თავგადაპარსულია. იწვევს საუბარს წარმოსახვით მეგობართან. საუბარში მისი ორივე ხელი ერთვება და, ბოლოს, ეს დიალოგიც გინებამდე მიდის.

მერე ისევ პაუზა და განსხვავებული ვარცხნილობა.  
– აქ ყველას ვიცნობ, მაგრამ არცერთის სახელი არ ვიცი. არც მაინტერესებს. ჩემი სახელები დავარქვი და ისე ვეძახი. მე ჩემს აზრებს თავზე არ მოგახვევთ, როგორც გენებოთ, ისე მიმართეთ. ამას შეხედეთ, იდიოტი!.. საათი ფეხზე უკეთია და სულ დროს ამოწმებს, გეგონება, სადმე ექარებოდეს... ეს ნახე, რა სულელია, ვერ მიეკარები, ყველას აგინებს და ვერ იტანს თმას თავზე, სულ თავგადაპარსულია და პარიკებს აგროვებს. ეს ბატონი, – ჩემზე მიუთითებს, – მდუმარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, არავის ახსოვს, როდის მოვიდა, ამბობენ, თექვსმეტი წელია აქ არისო და ჯერ არ მინახავს გარეთ გამოსული.

შენობას მიეფარნენ, მათ ვეღარ ვხედავ.  
წუთიერი ამოვარდნა დროის ძირითადი ნაკადიდან... მზის სხივები ფანჯრებს ანათებს და ცდილობს გაყინული იდეების გაღვობას, ჩაკლული სურვილების გაცოცხლებას, დაკარგული დროის დაბრუნებას...

წუთიერი ამოვარდნა, რომელიც ბუნების მეტამორფოზას გაგრძობინებს. ფერები თბება ისე, როგორც არასდროს!..

სადაცაა გული ამერევა და აქაურობას მოესვრი!.. ზიზღით გაუღენთილი სანიტრები შემოვლენ და ექიმთან წამიყვანენ. მე, კიდევ ერთხელ, ვიფიქრებ აქედან წასვლაზე, ბნელ დერეფანში გავლისას. მე ხომ უკვე ყურადღებას არავინ მაქცევს, დარწმუნებულნი არიან, რომ ჩემი ოთახიდან ფეხს არსად გავადგამ. აი, ეს არის ჩემი „კოზირი.“ როცა ბნელ დერეფანს გავივლით და ექიმის კაბინეტში შევალთ, მე ფანჯრისკენ გავიქცევი, მდინარეში გადავხტები და გავცურავ ოცნებებისკენ ისე, როგორც ადრე, ახალგაზრდობაში... არა მგონია, ვინმე გამომედევნოს, ისედაც ზედმეტი ტვირთი ვარ აქაურებისთვის. მკვდრად გამომაცხადებენ და ჩემს ოთახსაც რომელიმე სულელი დაიკავებს. ამასობაში მე ნაპირზე გავცურავ და დიდ სამყაროს შევისუნთქავ...

მდინარე – საზღვარი სამყაროებს შორის.  
...ახალი სამყარო... ტერფებით ვგრძნობ კარგად დავიწყებულ მიწას. მივრბივარ წინ, სანაპიროდან შორს. ნაცნობი ქუჩები. გაკვირვებულ მზერათა კორიანტელი. ოპტიკური ქაოსი. შიშველი ტერფების ხმა თბილ ასფალტზე.

– ჰეი, მეგობარო, რამე ხო არ გიჭირს?  
– არა, უბრალოდ, მომბეზრდა ერთნაირი დღეები, მუდმივი მდუმარება, ეზოს სუნთქვაზე ყოველდღე ყურის გდება! – კარგი იქნებოდა, ასე მეპასუხა, უკვე მეც კი მაინტერესებს საკუთარი ხმა.

– გამოფხიზლდი, გამოფხიზლდი! ნახეთ, რა სასაცილოა!  
უკვე ყველა თვალი ჩემკენაა მომართული.  
ახლა გული ამერევა და ყველაფერს მოესვრი... მერე ზიზღით გაუღენთილი სანიტრები შემოვლენ და ექიმთან წამიყვანენ. სამყაროთა ზღვარზე ცურვით გაუღენთილი ჩემი სხეული და ტანსაცმელი აბსოლუტურად მშრალია. ტერფები იატაკის სითბოს გრძნობენ.

...ამოვარდნა დასრულდა, მზე დამარცხდა, გამლღვალი იდეები გონებამდე ვერ მივიდა და ისევ გაიყინა, სურვილები გაქრა და დრო აჩქარდა. თუმცა, მზეს მოწყდა ძალიან პატარა ნაწილი და ჩემს სხეულში აირია... თავგადაპარსული სილუეტი ვიდაცას აგინებს. ახლებს ოთახები მიუჩინეს. ეზოს ცენტრში კაცი შარვლის ტოტს იწვევს და საათს ქოქავს...



# ისტორიის ყიღობანი

## ძველი ანბანის წარმოშობის დაგვიტყობინებელი მისია



ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხით არაერთი მეცნიერი დაინტერესებულა. არსებობს უამრავი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება მისი სადაურობისა და შექმნის თარიღთან დაკავშირებით, თუმცა, ეს ყოველივე ვარაუდები გახლავთ და ყველა მათგანს არსებობის უფლება გააჩნია.

ქართული დამწერლობის წარმოშობის მეცნიერულ კვლევა-ძიებას საფუძველი დაუდო აკადემიკოსმა

**ივანე ჯავახიშვილმა** ნაშრომით: – **"ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია"**, რომელიც თბილისში, 1949 წელს გამოიცა. ჯავახიშვილის დაწვებული საქმე მომავალი თაობის მეცნიერმა, **რამაზ პატარაძემ** განაგრძო. მან ქართული ალფაბეტის წარმოშობას მიუძღვნა კვლევა - **"ქართული ასომთავრული"**, რომელიც დაიბეჭდა თბილისში, 1980 წელს.

ორივე მეცნიერი, საბოლოოდ, თითქმის ერთ დასკვნამდე მივიდა: **ი. ჯავახიშვილის** აზრით, ქართული ანბანი ჩვ. წ. აღ-მდე, VII-VI ს.ს-ში შეიქმნა, სემური დამწერლობის საფუძველზე. მეცნიერმა პატარაძემ ეს თარიღი უფრო დააკონკრეტა და ზღვარი ჩვ.წ.აღ-მდე, VI-V საუკუნეებამდე დაიყვანა, თანაც მიუთითა, რომ ქართული ანბანი არა სემური, არამედ ფინიკურ-არამეული დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა.

ქართული ანბანის წარმოშობის კვლევისას, მეცნიერები, რატომღაც ყურადღებას არ უთმობენ საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII უფროსი ვაჟის **დავით ბაგრატიონის** ცნობას, რომელიც მის ნარკვევშია (**"ნარკვევში"**) დაცული.

**დავით ბაგრატიონს** საუცხოო განათლება ჰქონდა მიღებული როგორც სამეფო კარზე, ასევე – პეტერბურგში. იგი ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს, ღრმად იყო ჩახედული ევროპულ ლიტერატურაში, ისტორიასა და მეცნიერულ მიღწევებში. საქართველოში, რაციონალიზმის მიმდევარი დავითი **"გოლტარხანელთა"** თაობის პირველი წევრი იყო.

**დავით ბაგრატიონის** ვრცელი ნაშრომი **"ნარკვევი"** 1800 წლის 29 მარტს გამოიცა, სადაც ქრონოლოგიურად არის თავმოყრილი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების ამსახველი მოვლენები, ქართველი ხალხის წარმომავლობის ისტორია. ამ ნარკვევის მე-15 თავი ეძღვნება დავითისეულ ვერსიას ქართული დამწერლობის თარიღისა და სადაურობის შესახებ.

დავით ბაგრატიონის აზრით, ქართველები სპარსთა გავლენის ქვეშ მოქცევისას **"უბნობდნენ სომხთასა"**. ამის მიზეზად კი, ავტორს ერთადერთი ფაქტი აქვს დასახელებული – **"შეკრულობის გამო"**, ე.ი. იმის გამო, რომ ქართველები სომხებთან ახლო კულტურულ კავშირში იმყოფებოდნენ, ქართული ენის გარდა, სომხურადაც საუბრობდნენ. სპარსეთის პოლიტიკურ გაძლიერებასთან ერთად, ქართველთა სასაუბრო ენაც მრავალფეროვანი გამხდარა.

**"დაპყრობისა სპარსთაჲთა სიძისა, საბერძნეთისა და პრემისა, ქართუელნიცა, იყუნენ მფლობელობისა ქუეშე სპარსთასა, რომელნიცა, ესოდენთა უცხოთა ერთა შეკრებულობისა გამო, ჰზრახვიდნენ ხუთთა ენათა: სპარსთასა, სომხურსა, ხაზარულსა, ასირიულსა და ბერძნულსა."**

ამ, მეტად საინტერესო ცნობის შემდეგ, დავითი მიუთითებს ქართველების ზრუნვას **"საკუთარი ენაი"** – ს შექმნის შესახებ. თუ მის მთლიან ნაშრომს დავუკვირდებით, ავტორი, სიტყვა დამწერლობას „ენაი“- ს ტერმინით მოიხსენიებს, რაშიც, არამც და არამც, სასაუბრო ენის არსებობა არ მოიაზრება, რადგან იგი შესაძლოა, გავაიგივოთ ქართული შრიფტის (ანბანის) ცნებასთან.

ე. წ. **"ქართულ ენაის"** შექმნის საფუძველად დ. ბაგრატიონი ხუთი ენის დამწერლობას მიიჩნევს: სომხურს, ხაზარულს, ასირიულს, ბერძნულს და ბერძნულს. **"რომელთა მიერცა შეადგინეს** (ქართველებმა) **საკუთარი ენაი თუისი."** დავითმა, ამ ცნობით ხაზი გაუსვა ქართული დამწერლობის სადაურობის საკითხს. მართალია, იმ დროს, როდესაც ბაგრატიონი ამ ნაშრომს ქმნიდა, არცერთი თეორია არ იყო ჩამოყალიბებული: არც სომხურ-ბერძნული, არც ბერძნული და არც სემური თეორია, მაგრამ არსებობდა ის ცნობები, რომელიც საფუძველი გახდა, შემდეგში ამ თეორიების ჩამოყალიბებისა.

დავითმა, ამ არაჭეშმარიტი ცნობის საფუძველზე უარყო ყველა სხვა ვერსია. მაგალითად: თითქოსდა, ქართული დამწერლობა შექმნა ფარნავაზმა, ანდა მაშტოციმ – ქართული ანბანი, ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში.

ამრიგად, დავით ბაგრატიონი გახლავთ ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა იმდროისათვის



დავით ბაგრატიონი

უკვე არსებული ცნობები ქართული ანბანის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით. რაოდენ გასაკვირი უნდა იყოს, დ. ბაგრატიონმა, ამ პროცესის შექმნა დაათარიღა კიდევ:

**"ვიდრე მოსვლამდე ალექსანდრესა"**. (ამ უკანასკნელში, იგი ალექსანდრე მაკედონელს გულისხმობს, რადგანაც დავითის აზრით, მაკედონელმა თავად ილაშქრა საქართველოში), დავითმა ქართული ანბანის შექმნის თარიღად ძვ. წ. აღრიცხვის 589 წელი დაასახელა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დავითი, წიგნის წერისას სარგებლობს ევრეთლოდებულ

**ეორე სკალიგერის** წელთაღრიცხვით, მაშინ ეს თარიღი, ჩვ. წ. აღ-მდე 589 წელი – ძვ. წ. VI საუკუნე გამოდის.

რაც შეხება ფარნავაზის დავალებს ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებით, დ. ბაგრატიონი ცალსახად მიანიშნებს იმ ფაქტს, რომ ფარნავაზმა **"განაშუცნნა ენაი ქართული"**, რაშიც ავტორი გაშენებას, გაგრძელებას გულისხმობს. რადგან ფარნავაზმა პირველმა შექმნა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო, მაშინ საქართველოში ქართული დამწერლობის გაგრძელება უნდა მივიჩნიოთ, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის მნიშვნელობის აღიარების ფაქტი.

ამრიგად, დავითის აზრით, ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებული ვერსიები ბევრად სცილდება ჭეშმარიტებას, თუმცა, ერთ-ერთი პირველი ცნობაა ჭეშმარიტების გზის კვლევისაკენ. შემდეგმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ქართული ენა არც სომხური, არც ბერძნული და არც სემური ანბანის საფუძველზე არ შექმნილა. ეს მოსაზრება თავად აქვს უარყოფილი დავითს, თუმცა არაფერი აქვს ნათქვამი მის ფინიკურ-არამეული წარმოშობის შესახებ და, რაც მთავარია, დ. ბაგრატიონმა, როგორც იტყვიან, იწინასწარმეტყველა დღეისათვის დამკვიდრებული ქართული დამწერლობის შექმნის თარიღი – ძვ. წ. VI საუკუნე.

თუმცა, ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროს იყენებდა და რა კვლევას აწარმოებდა ახალგაზრდა ბაგრატიონ-ისტორიკოსი აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას.

### მამუკა ხაჩიძე

ხაშურის IX საჯარო სკოლის დირექტორი.

